პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივნისი პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 137 (14133)

ივლისის ანგარიშში

ჟუთაისი. (საკ. კორ.). „ჭუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ხუთ თვეში შეასრულა წარმოდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 115 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 23 ათასი მანეთის წარმოდუქცია.

მიმდინარე წელს სამმართველო ზარალით მუშაობაზეა დაგეგმილი, მაგრამ განვლილ პერიოდში აქ მნიშვნელოვნად შეამცირეს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, აამაღლეს რენტაბელობის დონე და ზარალის ნაცვლად 15 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მუშაობს აგრეთვე ბარიტის საფლოტაციო ქარხნის (უფროსი გ. კიკნაძე) კოლექტივი. აქ თავი გამოიჩინა ბ. ძოწენიძის ცვლამ.

ხუთწლედი — ვალდებულება

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ მეოთხე საამქროში, სადაც ახალგაზრდა ამწყობი ზეინალები ა. ნაბიბაშვილი და თ. ფირცხალაიშვილი მუშაობენ, მარტო მაისში 12.000 ცალი განმუტოებელი გამოუშვეს. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 125-130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო გ. გოგობიანი.

ბოლნისის რაიონის არახლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა მრავალდარგოვანია. ამჟამად მეურნეობაში თივისა და სასილოსე მასის დამზადება მიმდინარეობს.

სურათზე: მექანიზატორი **ფირუზ ისმაილოვი**, რომელიც დღეში 5-6 ჰექტარს თიბავს.

ფოტო ი. **დავითაშვილისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

საკოლმეურნეო ბრიგადის პარტორგანიზაცია

კოგორი იყო საკოლმეურნეო ბრიგადის პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ? ეს ჩვეულებრივ იყო სამი-შვიდი კომუნისტისაგან შემდგარი კოლექტივი, რომელიც ის იყო ეუფლებოდა პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკური აწყობის ხელოვნებას. ასეთი პარტიული კოლექტივები იშვიათადაც გვხვდებოდა, მეურნეობათა მხოლოდ ერთ ნაწილში.

დღეს მეტ წილ კოლმეურნეობებში შექმნილი საბრიგადო პარტორგანიზაციები და ჯგუფები გავლენიანი ძალაა. ისინი შესამჩნევად გაიზარდნენ, განმტკიცდნენ, გამოცდილება შეიძინეს, თავიანთი რიგები შეავსეს საუკეთესო მშრომელებით და ხშირად ამ ორგანიზაციებში ათობით კომუნისტია. ეს არის კეთილსაყოფილი ზემოკმედება სკკპ XXIII ყრილობის მითითებებისა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისა და ამაღლების შესახებ.

ყრილობის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე ბევრი მხარის, ოლქისა და რაიონის პარტიულმა კომიტეტებმა არა მარტო უზრუნველყვეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების შინაგანი რეჟიმების გაფართოება, არამედ, კიდევაც გააქტიურეს მათი მუშაობა, დაუქვემდებარეს მთავარს — ადამიანების აღზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში მათი შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას.

მაგალითად, კრასნოდარის მხარეში, საკოლმეურნეო ბრიგადების და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების რიცხვმა თითქმის სამი ათასს მიაღწია. ამან უაღრესად გაიფართოვა ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი, უფრო ნაყოფიერი გახადა შეჯიბრება, წარმოიშვა მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახალი კერები დაშორებულ ადგილებში. თუ წინათ ლექციები, ბოხსენებები, საუბრები, სხვადასხვაგვარი საღამოები უმთავრესად იმართებოდა იქ, სადაც განლაგებულია მეურნეობათა ადმინისტრაციული ცენტრები, ახლა ყოველივე ეს ეწყობა უშუალოდ ბრიგადებში, ფერმებსა და საველე ბანაკებში. საბრიგადო ორგანიზაციათა დამამარებით პარტიული ბიუროები და კომიტეტები თავიანთი გავლენით მოიცავენ სოფლის მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიებს, კოლექტივებში ქმნიან მაღალი პასუხისმგებლობისა და ერთსულოვანი შემოქმედებითი მუშაობის ვითარებას.

თვითეული ბრიგადის კომუნისტებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ყველა კოლმეურნესთან ერთად უზრუნველყონ მიდგომების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, შეამცირონ დანახარჯები პროდუქტების წარმოებაზე, ფართოდ დანერგონ სამეურნეო ანგარიში, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. ამ საქმეში წარმატებებს აღწევენ ის ორგანიზაციები, სადაც ჩქეფს შინაპარტიული ცხოვრება, დღითიდღე მტკიცდება ადამიანთა იდეური წრთობა, სადაც ძლიერდება მომთხოვნელობა ყველა პარტიელისადმი, მტკიცდება მათი ავანგარდული როლი წარმოებაში.

მოსკოვის ოლქის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის არტელის მეორე კომპლექსური ბრიგადის მაგალითით ჩანს, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ძირეულ პარტორგანიზაციას. აქ თექვსმეტი კომუნისტია. და ყველა ისინი სანიმუშო მუშაკები არიან. მათი ინიციატივით ბრიგადამ განახორციელა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მოაწყო მიწების მელიორაცია, აითვისა სწორი თესლბრუნვა და ბადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ეს საშუალებას იძლევა ყოველწლიურად მიაღწიონ წარმოების მაღალ რენტაბელობას. საკმარისია ითქვას, რომ 158 ძროხიდან საშუალოდ ერთზე იღებენ 4.800 კილოგრამ რძეს, ხოლო საშუალოდ ერთ კვერცხმდებელ ქათამზე იღებენ 195-ზე მეტ კვერცხს. იზრდება მარცვლეულის, კარტოფილის, საკვები ძირხვენების, ბალახის მოსავალი. კომუნისტები — საწარმოო პროცესის მონაწილეები და ორგანიზატორები — ამავე დროს აქტიური ხაზოგადოებრივი მუშაკებიც არიან. ბრიგადაში შემავალ სოფლებში, ფერმასა და მეფრინველეობის ფაბრიკაში წარმოებს შინაარსიანი იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, კარგად არის მოწყობილი წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები.

ПРАВДА

13 ივნისის მოწინავე

ამ საბრიგადო პარტორგანიზაციის საბრძოლო და მიზანდასახულ საქმიანობას ხელს უბამს აქ დამკვიდრებული დისციპლინიანობის, ამხანაგური მომთხოვნელობის ვითარება. პარტიულმა ბიუროს და მისმა მდივანმა — ზეინკალმა ვ. შულიაკოვმა იზრუნეს ამისათვის, რომ ყველა კომუნისტი ასრულებდეს პარტიულ დავალებებს, იყოს სოციალისტური შეჯიბრების მესვეური. აქ რეგულარულად ეწყობა პარტიული კრებები, რომელთა განსახილველად გამოაქვთ ყველაზე საჭირბოროტო საკითხები: შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის, წარმოების სრულყოფის, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მათი კვალიფიკაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების შესახებ.

საკოლმეურნეო ბრიგადებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციები ყველაზე ახლოს არიან ადამიანებთან, იციან მათი ხასიათის თავისებურებანი, უნარიანობა და ინტერესები. სწორედ მათ შეუძლიათ დაეხმარონ თვითეულს უკეთ განსაზღვროს თავისი ადგილი მეურნეობაში — ისეთი ადგილი, სადაც ადამიანის ტალანტი, მიდრეკილება უფრო დიდ შედეგს მოიტანს. სამწუხაროდ, ყველა პარტორგანიზაცია როდი იჩენს ამის უნარს. ზოგან აკლიათ გამოცდილება, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ჩვევები. „პრავდაში“ მოდის წერილები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანო ნაკლებ უურადღებას უთმობს თავის ძირეულ უჯრედებს, არ უწევს მათ საჭირო დახმარებას, ხოლო ზოგიერთი ზედმეტად არეგლამენტირებს ბიუროს საქმიანობას, კრებების დღის წესრიგს და ამით ხელს არ უწყობს კომუნისტთა აქტივობის განვითარებას თავიანთ ორგანიზაციაში, შრომითს კოლექტივში მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პარტიული კომიტეტების მოვალეობაა განუხრელად აუმჯობესონ ბრიგადებისა და განყოფილებების პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა. საჭიროა სისტემატურად ვასწავლოთ მდივნებს, პარტჯგუფორგებს, გავუწიოთ მათ ინსტრუქტაჟი, შევაიარაღოთ პარტიული მშენებლობის საფუძვლების ცოდნით. კარგი შედეგი მოაქვს ძირეული პარტორგანიზაციების ანგარიშებს რაიკომების, საოლქო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ბიუროებზე, კონკრეტული გამოცდილების განზოგადებას, მდივნების სემინარებს, ხელმძღვანელი მუშაკების რეგულარულ მონაწილეობას ადგილებზე კომუნისტთა კრებებში, პრაქტიკულ დახმარებას ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მოწესრიგებაში.

ახლა სოფლად პასუხსაგები დრო დადგა. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელები იბრძვიან ხუთწლედის მესამე წლის უხვი მოსავლისათვის. მიმდინარეობს თიბვა, უკლიან ნათესებს, ემზადებიან მკისათვის. ამ კამპანიების წარმატებით განხორციელებაში უაღრესად დიდია ბრიგადებისა და განყოფილებების პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების როლი. მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მინდვრად მომუშავე ადამიანებს ჰქონდეთ კარგი პირობები ნაყოფიერი შრომისათვის, გაანალიზონ ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება, აწარმოონ შინაარსიანი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ყოველ უბანზე.

საკოლმეურნეო ბრიგადებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, წარმოებაში, შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში მათი როლის გაძლიერება ჩვენი სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის, ყველა მისი დარგის დაჩქარებული ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მეხუთე ყრილობა მხურვალედ მიესალმება შობლიერ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. საზოგადოების რიგებში გაერთიანებული საბჭოთა ინტელიგენციის ორმილიონიანი არმიის სახელით ყრილობა დიდ მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის, საზოგადოების საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფაზე, ქვეყნის იდეურ და კულტურულ ცხოვრებაში მისი როლის ამაღლებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. ეს გვავალებს დაუცხრომლად, კიდევ უფრო ენერგიულად მივიღოთ მონაწილეობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საპატიო და კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა ინტელიგენცია — კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ნამდვილად ხახალხო ინტელიგენცია აღმშენებლობითი ცხოვრებით, შემოქმედებითი შრომით, მთელი თავისი გულისთქმით განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან, და ხალხთან ურღვევი ერთიანობით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ახალი საზოგადოების აშენება მოითხოვს ისტორიაში უმაგალითო დიდ მეცნიერულ ცოდნას როგორც ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის. საბჭოთა ხალხი სულიერ ძალებს იკრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, მზრუნველობით და გონივრულად იყენებს კაცობრიობის მდიდარ ხულიერ მემკვიდრეობას, ეუფლება და ცხოვრებაში ნერგავს მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ყრილობისადმი მისალმებაში მოგვიწოდებს ფართოდ გავშალოთ მეცნიერული ცოდნის მასობრივი პროპაგანდა, ვიყოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ყოველნაირად გავავრცელოთ მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლესი მიღწევები, ხელი შევუწყოთ შრომელთა პოლიტიკური შეგნებისა და მაღალი განათლების განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში დასახული ამოცანები მიგვაჩნია საზოგადოების საქმიანობის საბრძოლო პროგრამად.

მთელ ჩვენს ცოდნას და ძალღონეს მოვახმართ ამ საქმეს, რომ უფრო მეტად დავეხმაროთ პარტიას შრომელთა მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, შევაიარაღოთ საბჭოთა ადამიანები მარქსიტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგებით, ავამაღლოთ მათი ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე, აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ideოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გაძწვავება. ჩვენ გვესმის, რომ ამ პირობებში საზოგადოება „ცოდნის“ თვითეული წევრის, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის უპირველესი მოვალეობაა შეურიგებელი, შეტევითი ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყველა არსებულ საშუალებათა გამოყენება იმისათვის, რომ მშრომელებს ჩავუნერგოთ კომუნისტური რწმენა, იდეური სიმტკიცე, უნარი წინააღმდეგნენ ყოველი ფორმის გამბრწყინველ ბურჟუაზიულ გავლენას.

განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავაც დავუთმობთ ახალგაზრდობის აღზრდას, დავეხმარებით მას შემოქმედებითად ეუფლებოდეს რევოლუციურ თეორიას, კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პროცესებსა და მოვლენებს, იდეურად აწრობდეს ქალიშვილებსა და ვაჟკაცებს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებს.

ჩვენს დროში ქვეყნის იდეური ცხოვრების მთავარი მოვლენაა მზადება გენიალური მოაზროვნის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ბელადისა და დამაარსებლის — **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** დაბადების 100 წლისთავისათვის. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სახელოვანი იუბილეს დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში გავშალოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების ფართო პროპაგანდა. ყველაფერს ვიღონებთ, რათა ღირსეულად შევხვდეთ ლენინის იუბილეს.

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ V ყრილობა აღუთქვამს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საზოგადოების ყველა წევრი, კომუნისტები და უპარტიოები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, უფრო მჭიდროდ დაუკავშირებენ თავიანთ ცხოვრებასა და საქმიანობას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც ერთგულად ემსახურებიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიდ საქმეს.

საბჭოთა ინტელიგენცია მუდამ იყო, არის და იქნება ხალხთან, ლენინის პარტიასთან ერთად.

ურხო კეკონენი მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 13 ივნისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით დასასვენებლად ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო წარჩინებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 12 ივნისს ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დაიჩრნენ ბრძოლებში და საბრძოლო ჯილდოებთ წინათ დაჯილდოებული არ ყოფილან.

სსრ კავშირიდან გაემგზავრნენ ავღანეთის მეფე და დედოფალი

ადლერი, 13 ივნისი. (საკდესი). დღეს ქაბულში გაემგზავრნენ ავღანეთის მეფე **მუჰამედ ზაჰირ შაჰი** და დედოფალი **უმაირა.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მეგობრული ვიზიტის დროს ავღანეთის მეფე ეწვია მოსკოვს, თბილისს და 6-დან 13 ივნისამდე დედოფალ უმაირასა და თანმხლებ პირებთან ერთად ისვენებდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.

აეროპორტში მორთული იყო ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. საპატიო სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა,** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ბ. ვ. შინკუბამ,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გიგოშვილმა,** სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთში **კ. ი. ალექსანდროვმა,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ **ვ. ვ. კარიაგინმა,** სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **პ. ი. ბაეანოვმა,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ვ. ა. ურიუპინმა,** რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ს. ფ. მედუნოვმა,** ადლერის რაიონასასკომის თავმჯდომარემ **ა. პ. რალიანოვმა** და სხვებმა.

გამცილებელთა შორის იყო ავღანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში **მუჰამედ არეფი.**

მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმაირა გულთბილად გამოემშვიდობნენ გამცილებლებს, რომლებმაც ბედნიერი მგზავრობა უსურვეს მათ.

მტკიცდება ეკონომიური თანამშრომლობა

10-12 ივნისს გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის მინისტრი ფ. ვლასაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ჯ. ვალეში.

მოლაპარაკების დროს განიხილეს ეკონომიური თანამშრომლობის პრობლემები. კერძოდ, შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირმა 1970 წლიდან გაადიდოს გაზის მიწოდება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისათვის.

კოშიცის მეტალურგიული კომბინატის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოთა მხარე დათანხმდა 1970 წლის შემდეგ მიაწოდოს ჩეხოსლოვაკიას რკინამადნეულის ფილები.

მხარეებმა დათქვეს მოლაპარაკების დროს განხილული ეკონომიური თანამშრომლობის სხვა საკითხთა, აგრეთვე 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის საკითხთა შემდგომი განხილვის წესი. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოსი-226“

1968 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-226“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამითვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საზოგადოება „ცოდნის“ ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

12 ივნისს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მეხუთე ყრილობის მონაწილენი განიხილავდნენ საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს. დელეგატები საქმიანად სვამდნენ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ყველა ორგანიზაციის საქმიანობის აქტივიზაციასთან, მისი რიგების განმტკიცებასთან, მშრომელებში იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებასთან.

თავის გამოსვლაში ლიტვის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარემ, ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. ი. მატულისმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ლექციური პროპაგანდის ორგანიზაციის მეცნიერული სისტემა, რომელიც უნდა შეიცავდეს მსმენელთა სურვილების კონკრეტულ კვლევას, აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინაციას, ლექტორების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

უზბეკეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ი. მ. მუმინოვმა, ტაჯიკეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ა. რაჯაბოვმა, ყირგიზეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ, ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ა. ალტმიშბაევმა თავიანთ გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ყირგიზეთის დელეგატებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს საზოგადოების ორგანიზაციათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოზარდი თაობის აღზრდას.

დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს აგრეთვე ახალგაზრდობასთან მუშაობის ნაკლოვანებანი. კიშინიოვის სკკპ 23-ე ყრილობის სახელობის სამკერდო ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა ო. ვ. მალინოვსკაიამ აღნიშნა, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ ცოტა ისეთი ლექციები, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებდნენ ახალგაზრდობის შეგნებაში, და მათში გამოთქმული სწორი აზრები რწმენას უქმნიდნენ მსმენელებს.

„ყრილობაზე გამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ტ. ი. ახუნზიანოვი, ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ბურკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ვ. ი. სტეპაკოვი, ესტონეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ი. აარნა, პარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ბ. ღარიბჯანიანი.

ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები: ბ. სპასოვი (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა), ი. კიში (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა), რ. რაშმანი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ე. გავინი (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), კ. პარასკევესკუ-ბელეჩანუ (რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა), მ. ცრეგორი (იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა), ე. როროზონი (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა), ყრილობის დელეგატები ვულთბილად შეხვდნენ სტუმართა გამოსვლებს.

13 ივნისს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მე-5 ყრილობაზე გამოვიდნენ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. დ. ღორგაძეფანიძე, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. მესიანკინი.

ამით დამთავრდა საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ი. ი. არტობოლევსკიმ.

ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს გამგეობის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მიიღეს დადგენილება საანგარიშო მოხსენების გამო, დაამტკიცეს საზოგადოების წესდების დამატებანი და ცვლილებანი.

ყრილობამ აირჩია სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ყრილობის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი წერილის ტექსტი. ამით სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მე-5 ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

13 ივნისს გაიმართა ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი.

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი **ი. ი. არტობოლევსკი.** (საკდესი).

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ — ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მცხეთა. (საკ. კორ.). 12 ივნისს პარტიის მცხეთის რაიკომის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. შეერება მიეძღვნა „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის განყოფილების კოლექტივისათვის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

შეერება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. კაპანაძემ. გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის განყოფილებას მიენიჭა მომდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის, „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის განყოფილების მმართველს ბ. ბუბუნაშვილს გადასცა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ამხ. ი. ხოხლოვმა და მცხეთელებს უსურვა ახალი წარმატებები.

შეერებაზე გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს საგურამოს კოლმეურნეობის პარტბიურომ მდივანმა ბ. ბეწლაძემ, ინჟინერ-მექანიზატორმა ა. კოსრაშვილმა, გალავნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ნაბლაძემ, მუხრანის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ხ. ბიბილაშვილმა, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ. მცხეთელებს მოპოვებული წარმატებები მიუღია სოფლის მეურნეობის, მუშათა და მოსამსახურეთა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბუბბულაშვილმა.

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲐᲥᲝᲡ ᲠᲒᲕᲐᲨᲘ

ბართალია, არახელსაყრელმა ამინდმა შეაფერხა ჩვენი რესპუბლიკის მეთამბაქოობის რაიონებში თამბაქოს რგვის გეგმის დროულად შესრულება, მაგრამ ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში თავიდანვე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები და დღესაც ჩამორჩენილი არიან თამბაქოს რგვაში. ცენტრალური სტატისტიკიური სამმართველოს ცნობებით **რესპუბლიკაში თამბაქოს რგვის დავალება შესრულებული იყო 81,8 პროცენტით.**

ბოლნისის რაიონმა გეგმით უნდა დარგოს 442 ჰექტარი, 10 ივნისისათვის გეგმა შესრულებული იყო 94,1 პროცენტით. **აფხაზეთის** მეთამბაქოეებს დავალება შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 63,5 პროცენტით, **მარნეულის** რაიონს — 99,8 პროცენტით, **ლაგოდეხის** რაიონს კი 99,4 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ **აჭარის** მეთამბაქ

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა
პრობლემები

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

ლ. ჯონსონი: ჩვენი მიზანია მშვიდობა

პრაღა, 13 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ლ. სვობოდა და მთავრობის თავმჯდომარე ო. ჩერნიკი სამ დღეს მოგზაურობდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ იორავიაში. ისინი იყვნენ ბრნოში, ოსტრავასა და კარვინაში, შეხვდნენ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა მუშებს.

ოსტრავაში — ჩეხოსლოვაკიის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის ცენტრში გამართულ მიტინგზე პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ მორავიის მუშათა კლასმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ეკონომიკის ომისშემდგომ მშენებლობაში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიზანია ხალხთა მშვიდობის, მეგობრული ურთიერთობის და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა.

ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა, განაცხადა პრეზიდენტმა, ჩვენი თავისუფლებისა და უშიშროების სიმედო დასაყრდენია ურღვევი მეგობრობა და მოკავშირეობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ლ. სვობოდამ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს ყველა დამოუკიდებელ, რომელთა მიზანი იქნება ევროპის უშიშროების განმტკიცება და ევროპის ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრობის განვითარების პირობების შექმნა, მაგრამ, განაცხადა მან, ჩვენ გადაჭრით უარყოფთ დასავლეთგერმანიის რევანშისტთა ამასწინანდელ პროვოკაციებს.

ამერიკელ ოფიციალურ პირთა ინფორმაციები

ამერიკა-ირანის ერთობლივი განცხადება

ვაშინგტონი, 13 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პრეტენდენტმა იუჯინ მაკართიმ გუშინ განაცხადა, რომ კვლავ იწყებს საარჩევნო კამპანიას, რომელიც შეწყვიტა რობერტ კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით.

კონგრესში გამართულ პრესკონფერენციაზე ი. მაკართიმ თქვა, რომ მისი საარჩევნო კამპანიის ცენტრალური პუნქტი იქნება თეთრი სახლის სავიტნამო პოლიტიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საერთო მილიტარისტული მიმართულების კრიტიკა. სენატორ მაკარტის განზრახული აქვს ავრეთვე ამომრჩეველთა ყურადღება რიაქციოს იმ შინაპოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც ამ დღეებში აღელვებენ ამერიკას და, როგორც მან თქვა, რომელთა გადაჭრა აქვს განზრახული, თუ აირჩევენ პრეზიდენტის პოსტზე.

ლარიბთა დემონსტრაცია

ვაშინგტონი, 13 ივნისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა „ვაშინგტონში ღარიბთა ლაშქრობის“ მონაწილეთა დემონსტრაცია. ოთხასამდე ზანგი და თეთრკანიანი გამოვიდა „ალდგომის ქალაქიდან“ და გაემართა მიწათმოქმედების სამინისტროს შენობისაკენ. კოლონას წინ მიუძღოდა „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის“ ლიდერი მღვდელი რალფ აბერნეტი. მიწათმოქმედების სამინისტროს შენობასთან გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა აბერნეტიმ.

ეს ეს ჭენი „თავისუფალი სამყაროს“!

ბალდამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში ისეთი გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია ქრისტიანულ მორალს, როგორიც ამერიკული განგსტერული ფილმების იდეოლოგიამ შეასრულა.

ახალგაზრდა ამერიკელ ჯარისკაცთა სულის სიღრმეში ჩახედვა რომ შეიძლებოდეს, ალბათ აღმოჩნდება, რომ მათი იდეალი არა ქრისტე, არამედ პერსონაჟი, ამერიკელი მსახიობის ჯონ უეინის მიერ შექმნილ გმირებს რომ ბგავს, რომელიც უკანასკნელ ათწლეულში სპეციალდება „ნამდვილი დასავლეთელი კაცის“ სახეების მიხედვით.

იგი იმ ახალგაზრდა ამერიკელებს ეკრანა, რომლებსაც სწამთ მხოლოდ იარაღის ძალა, მუშტი და ფიზიკური სიძლიერე. იგი იმათი იდეალია, ვინც თვლის, რომ ყბაში გარტყმით ან ჯიბიდან პისტოლეტის ელვისებური ამოღებით შეიძლება ყოველგვარი პრობლემის გადაჭრა.

კაცმა რომ თქვას, არაფერი ცუდი არ არის პრიმიტიულ მცნებაში სუსტისადმი დახმარების თაობაზე, რომელსაც ძლიერი სდევნის. უბედურება ის არის, რომ იგი დაკავშირებულია გაბატონებული კლასის მორალთან, უფრო ზუსტად — მის ორ ძირითად დებულებასთან. ჯერ ერთი, თვლიან, რომ თვით ყოვლისმძლე ღმერთმა ამერიკას დააკისრა მსოფლიოს ბედის გადამწყვეტის როლი. მეორეც, ოფიციალური მორალის თანახმად, ძალმომრეობა, იქნება იგი პისტოლეტით თუ ატომური ბომბით, თავისი მიზნების მისაღწევად ისევე გამართლებული და სამართლიანია, როგორც ეს ბოლივუდის განგსტერულ ფილმებში ხდება, ასეთი ფილოსოფია გამოთაყვანებს ხოლმე ადამიანებს. მაგალითად, ამერიკელ მფრინავს, ვიეტნამის ბინდვრებსა და სოფლებს რომ ბომბავს, შეუძლია სავსებით გულწრფელად წარმოიდგინოს თავი ჯონ უეინად, რომელიც „უმწეო თანამოქალაქეებს ველის“. იგი არ ცდილობს გიგიოს, თუ ვიხვან უნდა „იხსნას“ ვიეტნამელები, სამაგიეროდ გულწრფელად წყამს, რომ მათ „ველა“ სჭირდებათ.

შესაძლებელია ეს რამდენადმე გროტესული გაუბრალოება იყოს. მაგრამ იმისგან, რასაც გაზეთებში წერენ და ტელევიზორების ეკრანებზე ვიეტნამისადმი მიძღვნილ გადაცემებში უჩვენებენ, შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: ამერიკელ მებრძოლთა სიტყვები, ფორმის, იარაღის ტარების, სროლის მანერა, მათი მორალი — ყველაფერი ეს ზზრად „ვესტერნის“ გმირთა მოქცევის ტრაგიკული ასლია. მართალია, მათ შორის არის რამდენიმე არსებითი განსხვავება. კოვბოური ფილმის გმირისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის იმარჯვებს და ცოცხალი რჩება, ამერიკელი ჯარისკაცი ვიეტნამში — ეს ცოცხალი არსებაა, რომელიც ისევე კვდება, როგორც ყველა სხვა ჯარისკაცი ბრძოლის ველზე.

გარდა ამისა, „ვესტერნების“ კანონებისაგან განსხვავებით, სადაც მარტოდმარტო გმირი პისტოლეტით ხელში თავით ფეხთამდე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში იმარჯვებს, ამერიკელი ჯარისკაცები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ არც თუ იშვიათად დიდი ოლიტენობით იყენებენ უახლეს სამხედრო ტექნიკას.

ვიეტნამში არ არის მარტოხელა ამერიკელი, თავისი წრთობითა და ეშმაკობით მტერს რომ ამარცხებდეს, არ არის ამერიკელი გმირი, „მარტო შარცხენა ხელით“ რომ ებრძოდეს ყოველმხრივ შეიარაღებულ მეტოქეს. ვიეტნამში იმყოფებიან ამერიკელები, რომელთა განკარგულებაშია იარაღის მთები, უახლესი ტექნიკა, ყველაფერი ის, რითაც „ვესტერნებში“, ჩვეულებრივ, შეიარაღებული არიან ხოლმე ბანდიტები.

ამერიკულ კოვბოურ ფილმებთან კიდევ ერთი პარალელის მოყვანა იქნება საჭირო. ამერიკელთა მიერ საიგონის ოკუპაციამ ქალაქის ბევრი რაიონი გარყვნილების ოაზად ბუდედ აქცია, როგორსაც პოლივუდი ფართო რეკლამას უკეთებს. ოკუპაცია და დოლარი ხელიხელჩაკიდებული მიდის ბოროტებასთან და განგსტერიზმთან, რომლებიც ფაქტიურად მართავენ ქალაქს. მათი მარტოხელა ქრისტეს მსგავსი გმირის შესახებ ქარწყლდება საიგონის სიბინძურეში, გარყვნილებასა და სიღატაკეში, ქრისტე არ დადის ამ ქალაქის ქუჩებში. და აზარტული მოთამაშე, აქ დროს რომ ატარებს,— ეს ვილურ დასავლეთზე შექმნილი ფილმების მარტოხელა გმირი როდია, რომელსაც ჯიბე ოქროთი აქვს სავსე და მკერდში ოქროს გული უძგერს, იგი ღარიბი ჩიკაგოელი მოხელეა. რომელსაც ჯარისკაცის ფორმა ჩაეცვეს, ან ინდიანელი ფერმერის შვილი, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცად რომ აქციეს. და იგებენ არა ისინი. პირიქით, ამ თამაშში არაფერს იღებენ, სამაგიეროდ ზოგჯერ კარგავენ ყველაფერს.

ამერიკელ ჯარისკაცთა ბრძოლა

ვიეტნამელ ბუდისტთა ბრძოლა

ვიეტნამში მყოფ ამერიკელ ჯარისკაცთა და კოვბოური ფილმების გმირთა შორის ასეთი პარალელების მართებულობას მოწმობს ისიც, რომ ერთადერთი ამერიკული ფილმი ვიეტნამში მყოფ ამერიკელებზე დადგა იმავე ცნობილმა კინოგმირმა ჯონ უეინმა. უეინი კი, რა თქმა უნდა, ეკრანზეც და ცხოვრებაშიც თავზეხელაღებული კაცია. კაცი, რომელმაც თავისი ნიჭი ახალგაზრდობის „ზეგამბედაობის“ სულისკვეთებით აღზრდას შეალია, რომელიც ვიეტნამში მყოფ ჯარისკაცებში ხედავს ამერიკული მორალის თაობაზე თავისი შეხედულებების, თავის მეზი. ასი წლის მანძილზე დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები იწვალებლებს იმპერიის ტრადიციების სულისკვეთებით ზრდიდნენ. ასეთსავე მიზნებს ისახავდა რასიზმისა და „სახიცოცხლო სივრცეების“ ნაცისტური პროპაგანდა. დღეს ამ იდეოლოგიათ, რომელსაც „თავისუფალი სამყაროს“ და „ამერიკული დემოკრატიის“ ამრით ასაღებენ, შეიარაღდა ამერიკის იმპერიალიზმი, მაგრამ როგორი მყვირალა სახელწოდებებითაც უნდა დაფარონ, ასეთი იდეოლოგიის არსი კვლავ წინანდელური რჩება: რწმენა საკუთარი „თანდაყოლილი უპირატესობისა“ და იმ „უფლებისადმი“, რომ თავს მოახვიო შენი ნება სხვას.

გამოცდილება გვასწავლის, რომ ეს იდეოლოგია აუცილებლად მარცხს განიცდის ხოლმე, ძალმომრეობის ქადაგებას წარმატება არ მოაქვს არა მარტო ვიეტნამში, არამედ იგი თვით ამერიკაშიც კრახს განიცდის. ამჟამად პრეზიდენტის არჩევნების კამპანია ახალი მორალისათვის ამერიკელთა ბრძოლის ნიშნით ტარდება. ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა მათ შორის, ვინც ამარცხებს „ვიეტნამის ომს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობას, პრეზიდენტ კენედის, სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი კინგის, სენატორ კენედის მოკვლას, და, მეორე მხრივ, ვინც პრეტენტს აცხადებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვს სხვა ხალხების საქმეებში ჩაურევლობასა და იმას, რომ ბოლო მოეღოს ძალადობის ბატონობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ოფიციალური ამერიკის მორალი საბოლოოდ პარიზში შემოწმდება. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გვიჩვენებს ამერიკის ნამდვილ სახეს. იგი გვიჩვენებს აგრეთვე იმას, თუ რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს ამერიკის საზოგადოებრივობის ზემოქმედება მთავრობის ამორალურ პოლიტიკაზე.

ამერიკის წარმომადგენლებს პარიზში არ ძალუძთ მოლაპარაკების მაგიდასთან მიიტანონ არც ნაპალმი, არც ქიმიური იარაღი, მიიყვანონ ჯარისკაცები, რომლებიც თავს კოვბოური ფილმების გმირთა სულიერ მემკვიდრეებად თვლიან. მაგრამ მათ შეუძლიათ ისარგებლონ. სხვა იარაღით, გამოიყენონ დიპლომატიური ბრძოლის საშუალებები — მოტყუება და ეშმაკობა, ამოქმედონ პროპაგანდისტული მანქანა. ესეც აგრესიის იარაღია, და მისი გამოყენების სეფერო მარტო პარიზით არ შემოიფარგლება. იგი იყო და კვლავაც რჩება იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად, რომელიც შეუჩერებლად მიდის, და რომელიც ყველა პროგრესულ ადამიანს ეალდებულს ხდის მუდამ ფხიზლად იყოს.

ჯეიმს ოლდრიჯი,

ინგლისელი მწერალი.

ლონდონი.

ამერიკელ ჯარისკაცთა ბრძოლა

ვიეტნამელ ბუდისტთა ბრძოლა

მოთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი 12 ივნისი. (საკდესი). იტალიაში მწვავდება მთავრობის კრიზისი. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივანი მარიანო რუმორი, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. სარაგატმა დაავალა მოესინჯა ახალი მთავრობის შექმნის შესაძლებლობა, დღეს ეწვია სახელმწიფოს მეთაურს და განაცხადა, „სიძნელეებმა, რომლებსაც ამ ამოცანის შესრულების დროს წავაწყდი, საშუალება არ მომცა დადებითი დასკვნები გამომეტანა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავსებით ჩაიფუშა ქრისტიან დემოკრატთა პირველი ცდა შეექმნათ ახალი კაბინეტი ა. მოროს მთავრობის ნაცვლად, რომელიც გადადგა პარლამენტის ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ.

მზარლი შეშფოთება

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). გუშინ ინგლისის პარლამენტის მთელმა რიგმა დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ საზოგადოებრიობას გაეცნოს, თუ რა ხასიათისაა კვლევა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში, რომელიც მიმდინარეობს პორტონის კვლევითს ცენტრში. ლეიბორისტმა ემრის ჰიუზმა თემთა პალატაში მოითხოვა, რომ მთავრობამ გამოიკვლიოს პორტონის ცენტრის საქმიანობა, რომელიც „სულ უფრო აშფოთებს ინგლისის საზოგადოებრიობას“.

თავდაცვის მინისტრმა აღეჭურვის საკითხებში ჯონ მორისმა პარლამენტართა მოთხოვნების პასუხად განაცხადა, რომ პორტონში მიმდინარე კვლევა განკუთვნილია „მხოლოდ თავდაცვის მიზნებისათვის“, და გამოთქვა იმედი, რომ „ოდესმე პარლამენტის წევრები შეძლებენ პორტონის ცენტრის დაწესებულებათა დათვალიერებას“.

ვ. როშეს განცხადება

პარიზი, 13 ივნისი. (საკდესი). „ამბები, რომლებიც საფრანგეთში ხდება, განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებენ ეროვნული კრების არჩევნებს“, რომელიც ივნისის მეორე ნახევარში გაიმართება, განაცხადა გუშინ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლის დროს.

ვ. როშემ მოუწოდა ფრანგებს მხარი დაუჭიროს საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატებს ღა თქვა: „ხმა მისცეთ საფრანგეთის კომპარტიას — ეს ნიშნავს ხმა მისცეთ ეროვნულ განახლებას, დე გოლის გაკოტრებულ ხელისუფლების შეცვლას დემოკრატიული კავშირის სახალხო მთავრობით, სადაც კომუნისტები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ“.

ვ. როშემ, რომელმაც დაიწყო ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით ძირითად პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენლების ნინააარჩევნო გამოსვლების სერია, მტკიცე პროტესტი გამოთქვა ომის წინააღმდეგ, რომ „მიბართავენ პოლიციურ რეპრესიებს ნაცელად მოლაპარაკებისა, რომლის მიზანი უნდა იყოს საფრანგეთის გაფიცულ მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მან დაგმო „ულტრა-ცრუმემარცხენული ჯგუფები, რომლებიც თავს ესხმიან კომუნისტურ პარტიას და ჩოქს სცემენ მას“, იმის გამო, რომ მან თავდაუზოგავლა მათი „ბრმა პროვოკაციებისა და ძალადობის ტაქტიკა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სახალხო მოძრაობას და ხელი გაუმართოს დე გოლის ხელისუფლებას“.

ყველა თავისი დემონსტრაციის დროს კომუნისტური პარტია „უარყოფს ანარქიის შავ დროშას“ და „მჭიდროდ ერთიანებს ერის სამფერ დროშასა და სოციალიზმის წითელ დროშას“.

შემდეგ ვ. როშე შეეხო საფრანგეთის კომპარტიის საარჩევნო პროგრამას. საფრანგეთის კომპარტიის პროგრამა, თქვა მან, უზრუნველყოფს „ეკონომიურ განვითარებას და სრულ დასაქმებულობას მსხვილ მონოპოლიათა დემოკრატიული ნაციონალიზაციის, არაეწარმოებლური ხარჯების შემცირების, სოციალსახადო სისტემის რეფორმისა და სიძვირის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად“.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტები მოითხოვენ ეროვნული განათლების თანამედროვე დემოკრატიული სისტემის შექმნას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვა ამერიკელი აგრესორების მიერ სულ უფრო აბუკარავებს დანაშაულებრივი ომის სულისჩამდგმელთა ნამდვილ სახეს, და რაც უფრო მეტი ბომბი ეცემა ვიეტნამის ტერიტორიაზე, მით უფრო მეტად ეცემიან მორალურად ამერიკის მმართველი წრეები.

ნახ. გაზეთ „ტაიმს ოფ ცეილონიდან“, კოლომბო.

კვლავ დიპლომატიური კრიკეები

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის განცხადება პარიზის საუბრებზე

პარიზი, 12 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინება:

პარიზში ამერიკის დელეგაციასთან ოფიციალურ საუბრებზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა სუან თხიუვინ დღეს შეერთებულ შტატებს დასდო ბრალი ომის გამო, რომ ამერიკამ ერთ შემდეგეს ვერ მიაღწიეს საუბრებზე, რომლებიც უკვე დაახლოებით ერთი თვეა გრძელდება.

სუან თხიუინ დღევანდელ, მეოერე ოფიციალურ საუბარზე განაცხადა, რომ 5 ივნისის სხდომაზე ამერიკის მხარეს განაცხადა, რომ ნუხად არის „შეწყვეტოს დაბომბვები შესაფერ მომენტში და შესაფერ ვითარებაში“. რა მომენტი და რა ვითარება შეიძლება იყოს უფრო „შესაფერისი“, ვიდრე ახლანდელი, როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა წარმომადგენლებია ოფიციალური საუბრები დახლოებით ერთი თვეა გრძელდება? — იკითხა სუან თხიუინმ.

როგორც შემდეგ აღნიშნულია დღევანდელ ოფიციალურ საუბარზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელის გამოსვლის ტექსტში, რომელიც ამ დელეგაციამ გაავრცელა პრეს-კონფერენციაზე, „ფაქტები თავის თავად მეტყველებენ: შეერთებული შტატები საბოტაჟს უწევდა ვიეტნამის შეიარაღ ძენეგის 1954 წლის ზეთანხმებებს“. „მეაერთებულმა შტატებმა უნდა შეაწვიოს აგრესიის აქტები, და მშვიდობა მაშინვე აღდგება, — დასძინა სუან თხიუინ. — პირველ რიგში შეეჩერებულმა შტატებმა ყოველგვარი პირობის დაუშვმელად უნდა შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვები და სხვა სამხარი აქტები ამ რესპუბლიკის წინააღმდეგ, შემდეგ კი შეუდგებეთ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხების განხილვას“.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის დღევანდელი გამოსვლის ძირითადი თემა იყო ემბილებინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის „ვალდებულებათა“ ხასიათი საიგონის რეჟიმისა და სეატოს სამხედრო ბლოკისადმი. ამ „ვალდებულებათა“ პირველი ჯგუფის გამო სუან თხიუინ აღნიშნა, რომ „საქმე ეხება ვალდებულებებს, რომლებიც ხელ-ფეხს უბოჭავენ ბატონსა და მის მსახურებს — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საქმე ეხება ვალდებულებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა საკუთარი თავის წინაშე და რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ ძალას“.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების „ვალდებულებათა“ მეორე ჯგუფს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან იმ ვალდებულებებს, რომლებიც იგივე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა ჟენევის შეთანხმებათა მესამისად, და შემდეგ აღნიშნა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სეატოს სამხედრო ბლოკი შეაკოწიწა აგრესიის მიზნით.

მხოლოდ ფაქტები

□ **ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ** გუშინდელ კლენარულ სხდომაზე 95 ხმის უმრავლესობით (4 წინააღმდეგი იყო და 121-მა თავი შეიკავა) **დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც იწოდებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს** (წინააღმდეგი იყვნენ ტანზანია, ზამბია, ალბანეთი და კუბა). სხდომას **არ ესწრებოდნენ კამბოჯის, ბაჰაიის, დომინიკის რესპუბლიკისა და ჰაიტის დელეგაციები.**

□ **დამასკო, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ საყოველთაო ხალხური განხილვისათვის გამოქვეყნდა სირიის არაბთა რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის პროექტი.**

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას განახორციელებენ ხალხის მიერ არჩეული საბჭოები და მიზნად ისახავს დანერგოს ქვეყნის ცხოვრებაში სახალხო დემოკრატიის პრინციპები.

□ **ჰანოი, 13 ივნისი. (საკდესი).** სამხრეთ ვიეტნამის **განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების** მებრძოლებმა 11 ივნისს იერიში მიიტანეს **ამერიკის შეერთებული შტატების** საზღვაო ქვეითი ჯარის მე-3 დივიზიის ქვეგანაყოფთა დასაყრდენ ბაზაზე, **რომელიც მდებარეობს 17 კილომეტრზე ქალაქ სანმრეთით. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ორი საათის გაფფრთხილებული ბრძოლის შედეგად დახოცეს და დაჭრეს 1129 ამერიკელი მეზღვაური ჯარისკაცი.**

ვაშინგტონი ბელადობს

... ბელადობ

... ბელადობ

... ბელადობ

ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲔᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

◆ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ! ᲓᲘᲓᲘᲚᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲡᲯᲔᲓᲑᲘᲗ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲗᲐᲜᲐᲨᲘᲜᲐᲠᲘᲗ ᲐᲚᲡᲐᲕᲡᲔ. ᲔᲯᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲣᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲒᲗᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲦᲛᲐᲓ ᲨᲝᲠᲡᲛᲔᲥᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲗ. ᲑᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ.

Მ. ᲞᲠᲝᲙᲝᲤᲘᲔᲕᲘ,

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.

◆ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ! ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ. ᲑᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

აკადემიკოსი **ი. პეტროვსკი,**

მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

◆ ᲓᲘᲓᲐᲓ პატივცემულო და ძვირფასო არნოლდ სტეფანეს-ძეო!

სამამულო მეცნიერების, საბჭოთა კულტურის ისტორიაში ცოტა როდია სახელოვანი ადამიანი, და ჩვენ სიამაყით მოგვყავს მათ შორის პროფესორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ს. ჩიქობავას სახელი.

თქვენი ფართოდ ცნობილი შრომები ენათმეცნიერების დარგში დიდი ხანია საბჭოთა ფილოლოგების სამაგიდო წიგნები გახდა.

გულითადად ვაფასებთ თქვენს მეცნიერულ და მეგობრულ ურთიერთობას უკრაინასთან, თქვენს სიყვარულს მისი კულტურის, ენისა და მეცნიერებისადმი, თქვენს უშუალო თანამშრომლობას ჩვენს გამოჩენილ ლინგვისტთან აკადემიკოს ლ. ა. ბულახოვსკისთან.

სულით და გულით მოგილოცავთ, ძვირფასო არნოლდ სტეფანეს-ძეო, შესანიშნავ იუბილეს და გისურვებთ კვლავაც მრავალ და მრავალ წელს შეგენარჩუნებინოთ წინანდელი ახალგაზრდობა და აზრის სიფხიზლე, მსჯელობის ორიგინალურობა, სიცხოველე და სიმახვილე.

ი. ბელოდედი,

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. პოტებნიას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

◆ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ და დიდად პატივცემულო არნოლდ სტეფანეს-ძეო! სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო მხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს თქვენ, ერთერთ უდიდეს საბჭოთა ენათმეცნიერს, რომელმაც გაამდიდრეთ საბჭოთა ლინგვისტური მეცნიერება თვალსაჩინო მიღწევებით. თქვენი შრომები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. თქვენი მეცნიერული ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც დიდი შენაძენია ქართული კულტურისათვის. დიდი პოპულარობით სარგებლობს თქვენი შრომები ზოგად და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. დიდია თქვენი დამსახურება ენათმეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს და დიდი ხნის სიცოცხლეს.

ფ. ფილინი,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

პროფესორი ი. დეშერიევი.

◆ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲘᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 45 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ. ᲑᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲚᲡ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲒᲔᲝᲠ�გᲘᲔᲕᲘ,

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ მეცნიერებათა აკადემიის კიევ-ᲞᲔᲠᲜᲘᲪᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, აკადემიკოსი.

◆ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ სტეფანეს-ძეო! სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო მხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს თქვენ, ერთერთ უდიდეს საბჭოთა ენათმეცნიერს, რომელმაც გაამდიდრეთ საბჭოთა ლინგვისტური მეცნიერება თვალსაჩინო მიღწევებით. თქვენი შრომები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. თქვენ მეცნიერული ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც დიდი შენაძენია ქართული კულტურისათვის. დიდი პოპულარობით სარგებლობს თქვენი შრომები ზოგად და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. დიდია თქვენი დამსახურება ენათმეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს და დიდი ხნის სიცოცხლეს.

Შ. ᲨᲝᲥᲔᲢᲘ,

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ.

◆ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ სტეფანეს-ძეო! სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სამეცნიერო საბჭო გულითადად გილოცავთ თქვენ, ჩვენს გამოჩენილ წევრს, საბჭოთა იუბილეს. თქვენ ეკუთვნით საბჭოთა მეცნიერების იმ შესანიშნავ პლეადას, რომელიც თავისი შრომებითა და ორგანიზატორული ნიჭით ამდიდრებს სამამულო მეცნიერებას და ამრავლებს მის დიდებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

ს. ᲑᲐᲠᲮᲣᲓᲐᲠᲝᲕᲘ,

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

◆ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲣᲦᲠᲛᲔᲡᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ ᲘᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲣᲬᲔᲠᲐ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲰᲐᲜᲡ ᲤᲝᲥᲔᲢᲘ,

ᲝᲡᲚᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐ!

ᲓᲘᲓᲘᲡ მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრიობა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის არნოლდ ჩიქობავას დაბადების სამოცდაათი და უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლისთავს.

ღარიბი გლეხის შვილს მეცნიერების მწვერვალებისაკენ გზა გაუკაფა ნიჭმა და ბეჯითობამ. სწორედ ამ თვისებათა გამო მიიქცია მან კეთილი ადამიანების ყურადღება, რითაც საშუალება მიეცა სწავლა განეგრძო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

ქუთაისის გიმნაზიას არნ. ჩიქობავა წარმატებით ამთავრებს და 1918 წ. შიდის ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე.

ჯერ კიდევ პირველი კურსის ახპირანტი, ხსენებული საენათმეცნიერო დარგის მესვეურთა რიგებში ექცევა და, მეტიც, — იგი განსაზღვრავს ჩვენში ამ ახლადფუძადგმული დარგის განვითარების პერსპექტივას.

უკვე 1923-1924 წლებში იგი — ოცდახუთი წლის ახალგაზრდა — აქვეყნებს იმხანად დაარსებული „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საპროგრამო წერილებს, რომლებშიაც გამოკვეთილია საგანიც ქართული ენათმეცნიერებისა, დასახულია ამოცანებიც, რაც მის წინაშე უნდა იდგეს, და ნაჩვენებია გზებიც, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხერხდეს ამ ამოცანათა გადაჭრა. მის წინასწარდასახულობას ხორცი შეესხა და არსებითად ამ გზით წარმართა ქართული ენათმეცნიერების განვითარება ამ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში.

არნ. ჩიქობავას მოღვაწეობაში უაღრადღებას იქცევს ორი ძირითადი მხარე, რომელთა ურთიერთშეხამება იძლევა ესოდენ ხელშესახებ შედეგს. ეს არის: მეცნიერული კვლევა-ძიების ხიღრმე-მრავალფეროვნება და დიდი ორგანიზატორული უნარი მის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულების. საშუალებების შექმნა-მოპოვებისა. პირველ ყოვლისა ეს ეხება კადრების მომზადებას.

მისი კვლევა-ძიების სფერო მეტად ფართოა. თავისი უშრეტი ენერგიით იგი მოღვაწეობს ქართული ენათმეცნიერების თიმქის ყველა დარგში. თავდადებით ემსახურება ქართული ენობრივი მშენებლობისა და სკოლის საჭიროებებს — იქნება ეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და მათი დადგენის პრინციპების შემუშავება, ახლად ჩამოყალიბებული ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის თავმოყრა-დამუშავება, ქართული სახელმძღვანელოების შექმნა-რედაქტირებაში მონაწილეობა, ჩვენი კლასიკოსთა ენის შესწავლა და სამწერლობო ენის მიმართულების გარკვევა, თუ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ქართული ეროვნული სიტყვიერ — რვატომიანი გაბმარტებითი ლექსიკონის შექმნა, რომლის მთავარი რედაქტორი, შედგენის პრინციპების ავტორი და ხელმძღვანელი იგია.

ამ ლექსიკონმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ჩვენში, — სპეციალისტებისა და მთელი საზოგადოებრიობისა, ისე უცხოეთის ქართველოლოგთა შორისაც.

არნ. ჩიქობავამ ქართული განმარტებითი ლექსიკონის აგების სრულიად ახალი პრინციპები წამოაყენა და დაუდო საფუძვლად ამ ლექსიკონს, რაც გარკვეულ წინააღმდეგობასაც წაჰყოდა ზოგიერთი სპეციალისტის მხრივ. ქართული ზმნის აგებულების თავისებურების გამო მან საჭიროდ მიიჩნია სალექსიკონო ერთეულად ზმნის პირიანი ფორმა ყოფილიყო აღებული და მდიდარ ზმნურ სიტყვაწარმოებითს ერთეულებს თავიანთი ადგილი დაეჭირათ ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. მან ეს პრინციპები დაიცვა და დღეს, როდესაც ასეთი დიდი წამოწყების კეთილად დაგვირგვინების მოწმენი გავხდით, ქართული ენით დაინტერესებული არა ერთი და ორი სპეციალისტი ამ პრინციპებს იწონებს და თვლის, რომ სწორედ მათშია ასახული ქართული ენის ბუნება. აღნიშნული ლექსიკონის აგების თეორიული საფუძვლები გულისყურით შესწავლის საგნად არის ქცეული საბჭოთა კავშირის ლექსიკოგრაფთა მხრივ.

რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დღეს უკვე თავად არის ძირითადი წყარო მთელი რიგი სხვადასხვა ტიპის სრულყოფილი ლექსიკონების შექმნისა, როგორიც არის მაგ., ქართული ენის ფრაზეოლოგიური, სინონიმური, ეტიმოლოგიური და სხვა ლექსიკონები.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მნიშვნელობა, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება. ამ რიგის ლექსიკონი დაამშვენებდა სხვა დიდი კულტურის მქონე, შესაძლოა, ქართველ ერზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან ერსაც. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის ნათქვამი აღნიშნული ლექსიკონის მეშვიდე ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით: „...ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲕᲚᲐᲓ ᲕᲔᲚᲘᲗ ᲒᲝᲚᲝ, ᲛᲔᲠᲕᲔ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲕᲘᲡᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ, ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠ ᲒᲐᲑᲐᲕᲘᲩᲜᲘᲐ“.

დიდია არნ. ჩიქობავას წილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის (1956-1959 წლ.) შედგენა-დამუშავებაში, როგორც ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრისა და ერთ-ერთი შემდგენელ-რედაქტორისა.

არ არსებობს ქართული ენის არც ძველის, არც ახლის (დიალექტებითურთ) აგებულების, განვითარების არცერთი მხარე თუ ძირითადი საკითხი, რომელზედაც არნ. ჩიქობავას თავისი ახალი სიტყვა არ ეთქვას.

ჯერ კიდევ 1928 წ. მისს სადოქტორო დისერტაციაში — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში...“ (აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაიცვა თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა) — სრულიად ახლებურად იყო დასმული საკითხი სინტაქსურ ცნებათა გაგებისა საერთოდ. გაკრიტიკებულ იქნა ე. წ. დიგიციზმი და ფსიქოლოგიზმი ენათმეცნიერებაში და დასაბუთებულ იქნა საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისის საჭიროება სინტაქსურ კატეგორიათა კვალიფიკაციისას. წარმოებულ კრიტიკასთან ერთად ავტორი ალაგებს თავის ახალ მიდგომას ამ საკითხისადმი და წვეტს ქართული წინადადების აგებულების კარდინალურ საკითხებს, აკვლევს ქართული წინადადების მექანიზმის სპეციფიკას. მან ნათელყო, რომ ქართული ერთპირიანი ზმნით აგებული წინადადების სტრუქტურა ინდოევროპული ენების წინადადების საერთო აგებულებას ემთხვევა, მაგრამ სრულებით განსხვავებული ჩანს ორ და სამპირიანი ქართული ზმნის შემცველი წინადადება. იგი ვეღარ ეტევა ცნობილ სინტაქსურ ცნებათა ჩარჩოებში და მოითხოვს ახალ სინტაქსურ ურთიერთობათა დაცნებათა დადგენას. ამ ნაშრომს უდიდესი ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. იგი ამჟამად, ორმოცი წლის შემდეგ, ხელმეორედ გამოქვეყნდა უცვლელად. ბუნებრივია, რომ ავტორმა თავისი შრომის მერე გამოცემა მიუძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის საიუბილეო თარიღს.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითს ძიებას არნ. ჩიქობავამ მიუძღვნა მრავალი გამოკვლევა, რითაც გარკვეულობა შეიტანა ამ ენათა შემადგენლობის საკითხში. მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაიფუძნა მათი ლექსიკის შედარებითი კვლევა-ძიება, ჩამოაყალიბა ამ ენათა დამახასიათებელი ნიშანთვისებები.

ქართველურ ენათა გაღრმავებულმა შესწავლამ, მათი ისტორიის სიღრმეში შეჭრამ მოითხოვა სხვა მონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინება.

ქართული ენის რაობის, მისი „მა თუ იმ ოჯახის ენებთან დამოკიდებულების საკითხი დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებს. გამოთქმული იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები. ზოგნი მას ინდო-ევროპულ ენებს უნათესავებდნენ, ზოგნიც — თურანულს, ზოგნიც — სემატურს. ზოგის აზრით ქართული ნათესაურ კავშირშია კავკასიის იმ ენებით, ენებთან, რომლებიც სხვა ცნობილ ენათა ოჯახებში არ შედის. ამ ენების შორეული მონათესაესენი უნდა იყვნენ აგრეთვე ნინა აზიის უძველესი მწერლობის მქონე მთელი რიგი მკვდარი ენები (ურარტული, ხურიტული, პროტოხეთური...), ხოლო ცოცხალ ენათაგან — ბასური.

ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა ცნობილ ქართველ მეცნიერთა — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავას... მიერ.

ქართველოლოგთა წინაშე პირველი რიგის ამოცანად დადგა კავკასიის იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგების. გაირკვა, რომ, მიუხედავად ამ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ამჟამად არსებული დიდი სხვაობებისა, მათ ჰქონიათ საერთო ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული წყობა და ენობრივი მასალა. ცხადი ხდება, რომ რაც უფრო შორს ვიჭრებით ქართველურ ენათა ისტორიის სიღრმეში, მით უფრო საერთო მატერიალური და სტრუქტურული ნიშნები იჩენს თავს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

არნ. ჩიქობავას უშუალო დამსახურებაა, რომ დღეს თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ცენტრს წარმოადგენს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ თავიდანვე დიდ უაღრადღებას უთმობდა და უთმობს ენათმეცნიერების თეორიის საკითხებს, რადგანაც თვლის, რომ შეუძლებელია კონკრეტული ენების ეფექტური კვლევა, თუ მას არ მოეპოვება მკვიდრი თეორიული წინამძღვრები. ამ მხრივ მას უხდება დამუშავება საბჭოური ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემებისა.

აღნიშნული თეორიული საკითხების დამუშავებისას საჭირო ხდება დაძლევა სხვადასხვა მიმდინარეობისა, საყოველთაოდ ცნობილია მისი პრინციპული ბრძოლა საბჭოთა მარქსისტული მეცნიერების პოზიციებიდან მექანისტური, ვულგარულ-მატერიალისტური და იდეალისტური მიმდინარეობების წინააღმდეგ.

არნ. ჩიქობავა ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია საბჭოთა კავშირში. ის ფართო ლინგვისტური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური განათლება, რაც მას აქვს, ერთი მხრივ, და იბერიულ-კავკასიურ ენათა მდიდარი ენობრივი მონაცემების განზოგადება, მეორე მხრივ, მის ზოგადენათმეცნიერულ კონცეფციას მწყობრსა და უფრო სრულყოფილ სახეს ანძლევს.

მისი ზოგადენათმეცნიერული გამოკვლევები („ენათმეცნიერების შესავალი“, „ზოგადი ენათმეცნიერება“, „ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი“, „თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზები“,..) და, პირველ რიგში, სახელმძღვანელო თარგმნილია რუსულსა და არა ერთსა და ორ უცხოურ ენაზე. არნ. ჩიქობავა ზნირად გამოდის ჩვენი საკავშირო უურნალების ფურცლებზე, სხვადასხვა კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე საპროგრამო გამოკვლევებით.

არნ. ჩიქობავა დიდის გულისხმიერებით ეკიდება ახალ მიმდინარეობებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, მაგრამ მთელი შეგნებით ემსახურება იმ იდეას, რომ საბჭოთა სპეციალისტს თავისი პოზიცია უნდა ჰქონდეს ყოველი საკითხის, ყოველი მიმდინარეობის შეფასებისას.

მისი მრავალფეროვანი საკვლევი ობიექტის თითოეული საკითხი, იქნება ეს კერძო ხასიათისა, მაგალითად, ქართული დიალექტიკის რომელიმე თავისებურება, თუ ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემა, ჩაქსოვილია მწყობრ საერთო საენათმეცნიერო სისტემაში.

ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს არნ. ჩიქობავამ უძღვნა ასეულობით გამოკვლევა, რომელთაგან გამოქვეყნებულია ორასზე მეტი, მათში თითქმეტი ფუძემდებელი მონოგრაფიაა. ამ ნაშრომებზე, რომლებიც შესრულებულია ავტორის ფართო ერუდიციის, საკითხის ღრმა შესწავლისა და ფაქიზი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, აღიზარდა ქართველ და არაქართველ ენათმეცნიერთა თაობები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირის კავკასოლოგიის ყველა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში.

არნ. ჩიქობავა დიდი გულისხმიერი აღმზრდელია ახალგაზრდობისა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა სამოცზე მეტი სპეციალისტი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი.

მიუხედავად დატვირთულობისა, იგი მუდამ მზად არის უხვად გაიღოს დრო და ენერგია იმედის მომცემი, ბეჯითი ახალგაზრდის მომზადებისათვის. ამასთანავე იგი ძალზე მომთხოვნი და მკაცრია. ეს იმ თვისებებია, რაც მას ახალგაზრდის ნამდვილ მზრუნველად და უანგარო მოამაგედ ხდის.

დიდწილად მისს დაუცხრომელ ენერგიასა და ღვაწლს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში, — როგორიც არის ქართული ლექსიკოლოგია, ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენები, ზოგადი ენათმეცნიერება — ჩვენ გვყავს საკმაოდ ცნობილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მხოლოდ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის პირობებში იყო შესაძლებელი არნ. ჩიქობავას ნიჭსა და შემოქმედებითს ენერგიას ასეთი ფართო გასაქანი მისცემოდა.

არნ. ჩიქობავა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია. იგი ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პირველსავე შემადგენლობაში იქნა არჩეული 1941 წ. ჯერ კიდევ 1946 წ. მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1951 წ. მოსკოვის უნივერსიტეტმა მიანიჭა ლომონოსოვის სახელობის პრემია; 1960 წ. არჩეულ იქნა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ხოლო მომდევნო წელს — დიდი ბრიტანეთის ფილოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად.

არნ. ჩიქობავას დამსახურება დიდად დააფასა ჩვენმა მთავრობამ. იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ III, IV, V, VI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით, შრომის წითელი დროშის ორდენით (1944 წ.), „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1946 წ.), ლენინის ორდენით ორჯზის (1951 წ., 1966 წ.).

შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ჩვენი იუბილარი ამჟამად ხელმძღვანელობს მნიშვნელოვან კოლექტიურ სამუშაოებს, როგორიც არის: „ქართული ენა“ (ექვსტომიანი თეორიული კურსი); ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი; იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკისა და ლექსიკონების შექმნა...

გვჯერა, იგი ისეთივე წარმატებებით დაავგირგვინებს მათ, როგორადაც მას სხვა მრავალი ასეული მნიშვნელოვანი წამოწყება დაუბოლოვებია.

ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

ᲙᲝᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ,

პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐ.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ მწერლობა დიდი ხანია შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მუშაობას.

საყოველთაოდ ცნობილია არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევები ზოგად ენათმეცნიერებასა და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში.

ჩიქობავას გამოკვლევებმა სახელი გაუთქვეს არა მარტო მათ ავტორს, არამედ, საერთოდ, ქართულ საენათმეცნიერო სკოლას ჩვენი ქვეყნის იქით, ძალიან შორსაც.

არნოლდ ჩიქობავა თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობს ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს. მან შესანიშნავად განაზოგადა თავისი დაკვირვებანი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის განვითარებაზე, მაგრამ იგი არ შემოფარგლულა ჩვენი დიდი ლიტერატურის წარსულით და თავისი მეცნიერული ანალიზის ობიექტად არაერთხელ გაუხდია ჩვენი დროის ცოცხალი ლიტერატურა.

არნოლდ ჩიქობავა არა მარტო დიდი მეცნიერია, იგი არის შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი. მის მრავალრიცხოვან სტუდენტთა შორის მწერალიც ბევრი იყო, და ჩვენ არა მარტო მაშინ ვისმენდით მის ლექციებს დიდი ინტერესით, ახლაც არაერთხელ ვიგონებთ სიამოვნებით და მადლიერების გრძნობით.

ა. ჩიქობავა უაღრესად პრინციპული იყო თავის მუშაობაში და დიდი მეცნიერული დაკვირვების შედეგად გამომუშავებულ რწმენას ყოველთვის გასაოცარი შეუპოვრობით იცავდა.

არნოლდ ჩიქობავას სახელთან არის დაკავშირებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა.

ჩვენი ენის ამ დიდებული საგანძურის შექმნას მთელი ჩვენი ხალხი სიხარულით შეხვდა, მაგრამ ლექსიკონის გამოცემა ჩვენი მ

პირჩია, სად გსურს ისწავლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპარტაკი“ თუ „დინამო“?

საიუბილეო ჩემპიონატის მეცამეტე ტური ფეხბურთში დღეს მთავრდება. მოსკოვში ერთმანეთს ხვდებიან მთავარი მეტოქეები — დედაქალაქის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. ამჟამად მათი სატურნირო მდგომარეობა ყველაზე პერსპექტიულია. ამ ორი გუნდის ადრინდელ შეხვედრათა ბალანსის მიხედვით სახნორი სპარტაკელთა მხარეზეა გადაბრილი — 21 მოგება, 20 ფრე, 13 წაგება ბურთების საერთო შეფარდებით 84:62.

გუშინ კი ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი დედაქალაქის „ლოკომოტივი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა ოდესის „ჩერნომორეცის“ წინააღმდეგ და შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრა.

საჭადრაკო ტურნირები

მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა 12 ტური. მე-12 ტურში ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების დ. ბრონშტეინისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტ. პეტროსიანის პარტია. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. წინ არის გროსმაისტერი დ. ბრონშტეინისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტ. პეტროსიანის პარტია. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. წინ არის გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი — 9 ქულა. ტ. პეტროსიანს 8.5 ქულა აქვს.

რიგიკიავიკი მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. საბჭოთა ჯგუფიდან გამოიყვნენ გროსმაისტერები ე. ვასიუკოვი და მ. ტაიმანოვი. გათამაშდა 8 ტური. ლიდერები არიან ე. ვასიუკოვი და მ. ტაიმანოვი, რომლებსაც ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელთა ნაკრების დაკომპლექტება და მომზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრისათვის დაეკისრა ვუსმანს.

ცნობილმა საკლუბო გუნდმა „სანტოსმა“ დაიწყო ტურნე ევროპაში. პირველი მატჩი ბრაზილიელებს ჰქონდათ იტალიის საკლუბო გუნდ „კალიარისთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ბრაზილიელებიდან ორივე ბურთი გაიტანა ტონინიომ.

ფორვარდები ფორმაში არიან

რიო-დე-ჟანეირო, 13 ივნისი. (საკლესი). ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდის ამხანაგური მატჩში ანგარიშით 4:0 დაამარცხა ურუგვაის ნაკრები „მარაკანას“ სტადიონზე. ბურთები გაიტანეს პაულო ბორგესმა, გერსონმა და ორჯერ — ჟაირზინიომ.

მწვრთნელებმა დაასახელეს ბრაზილიის ნაკრები გუნდის 22 ფეხბურთელი, რომლებიც ემზადებიან 1970 წლის მსოფლიოს პირველობისათვის. ესენი არიან: მეკარეები — ფილეჰსი და კლაუდიო, მცველები — კარლოს ალბერტო, დე მარია, ფურანდირი, მარინიო, ფოლი, ბრიტო, საიდი, რილდო, ნახევარმცველები — რიველინიო, გერსონი, დენილსონი, ვილსონ პაიცა, თავდამსხმელები — ნატალი, პაულო ბორგესი, სეზარი, ჟაირზინიო, ტოსტაო, რობერტო, ედუ და ედუარდო.

„ბ“ კლასის ზონებში

ბრძოლდება „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ასპარეზობა.

მესამე და მეოთხე ზონის გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: მესამე ზონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს გურჯაანის „ალაზანსა“ და გორის „დილას“ გასვლითი თამაშები ჰქონდათ სვეტლოგორდისა და ალექსანდროვკაიას „უროჟაის“ გუნდებთან და დამარცხდნენ თანაბარი ანგარიშით 0:1.

მეოთხე ზონაში — ქობულეთის „შუქურა“ — ოქტემბერიანის „სევანი“ 1:1, მახარაძის „ფერცხალი“ — ეზრიანის „არაქსი“ 1:1, ლანჩხუთის „გურია“ — კაფანის „ლერნაგორი“ 5:1, თელავის „ნადიკვარი“ — ცხინვალის „სპარტაკი 0:1, კისლოვოდსკის „სპარტაკი“ — სოხუმის „დინამო“ 0:0, დარუბანდის „უროჟაი“ — ჭიათურის „მაღაროელი“ 2:0, კრიმსკის „უროჟაი“ — ფოთის „კოლხეთი“ 1:0, ნოვოროსიისკის „ცემენტი“ — ზუგდიდის „ენგური“ 4:0.

ღონისძიების მეოთხე ზონის ლიდერია ოქტემბერიანის „სევანი“, რომელსაც 12 თამაშიდან 19 ქულა აქვს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1968 წლისათვის

1. მეგალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (დიღომი):

დასწრებულ სწავლებაზე: გენეტიკა — 1, მიკრობიოლოგია —2, მეხილეობა — 1, ყურძნის ღვინისა და ხილკენკროვანთა წვენებისა და ღვინის ტექნოლოგია — 2.

დაუსწრებელ სწავლებაზე: ყურძნის ღვინისა და ხილკენკროვანთა წვენებისა და ღვინის ტექნოლოგია — 1.

II. მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (მცხეთა, წეროვანი):

დასწრებულ სწავლებაზე: აგროქიმია — 1, მებოსტნეობა — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე: მემცენარეობაზე — 1.

III. მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 17).

დასწრებულ სწავლებაზე: ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა — 2.

IV. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (თბილისი 65, სოფლნლეღი):

დასწრებულ სწავლებაზე: აგროქიმია — 1, ნიადაგმცოდნეობა — 1.

V. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (ქ. თბილისი, დიღომი):

ა). სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია —

დასწრებულ სწავლებაზე: სამანქანო-სატრაქტორო პარკის ექსპლოატაცია — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე: ნიადაგის დამმუშავებელი მანქანები — 1, მევენახეობის მექანიზაცია — 1.

ბ). სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაცია —

დასწრებულ სწავლებაზე: მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მობილური პროცესების ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია — 1, ელექტროენერგიის გამოყენება სოფლის მეურნეობის ბიოლოგიურ პროცესებში — 1.

მისაღები გამოცდები უცხო ენასა და სკკპ ისტორიაში ასპირანტურაში შემავლელთათვის ჩატარდება მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 17), სპეციალობაში შესაბამის ინსტიტუტებში, გარდა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტისა, სადაც ასპირანტურაში შემსვლელები სამივე საგანს აბარებენ ადგილზე.

მიღების წესების შესახებ დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ინსტიტუტებში.

განცხადებების მიღება 1968 წლის 10 სექტემბრამდე.
მისაღები გამოცდები 1968 წლის 1-დან 10 ოქტომბრამდე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე

დღის განყოფილება

სპეციალობები: I კურსზე (8 კლასიანი ბაზა — 3 წლიანი სწავლების ვადით) — სახელმწიფო დახლვევა; II კურსზე (საშუალო სკოლის ბაზა — 1,5-2 წლის სწავლების ვადით) — ა) საბიუჯეტო აღრიცხვა, ბ) ბუხჰალტრული აღრიცხვა მრეწველობაში, გ) აღრიცხვა და ოპერატ. ტექნიკა სახბანკში, დ) კვების საწარმოთა დაგეგმვა, ე) სახელმწიფო ბიუჯეტი (რუსული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილება

(ქართული და რუსული სექტორი) —

1. სახელმწიფო ბიუჯეტი, 2. სახელმწიფო დაზღვევა, 3. საბიუჯეტო აღრიცხვა, 4. აღრიცხვა და ოპერატ. ტექნიკა სახბანკში, 5. ბუხჰალტრული აღრიცხვა მრეწველობაში.

სწავლების ვადა I კურსზე შემსვლელთათვის 4 წელი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის 2 წელი.

განცხადებების მიღება დღის განყოფილებაზე: ა) 8 კლასის ბაზის ჯგუფებში — 31 ივლისამდე, ბ) 10 კლასის ბაზის ჯგუფებში — 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე, გ) დაუსწრებელ განყოფილებაზე —10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა დღის განყოფილებაზე 1-დან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე ივნისში, ივლისში და აგვისტოში ტექნიკუმის გამოწვევის მიხედვით.

გამოცდები ორივე განყოფილების ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკა (ზეპირი).

რუსულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაზეა (წერა), ათეატიკაში (ზეპირი).

ყოველი გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხებიან ქების სიგელით დაჯილდოებული რვაკლასდათავრებულები და საშუალო სკოლის მედალოსნები.

ბუხჰალტერებს უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი) ან. საეუალო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასებში გადასაყვანი მოწმობა, 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა № 286 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4, გადაღებული უქუდოდ), 5. დღის განყოფილებაზე შემსვლელი პირები, რომელთაც ორ წელზე მეტი მუშაობის სტაჟი აქვთ, აგრეთვე დაუსწრებელ განყოფილებაზე ყველა შემსვლელი განცხადებასთან ერთად ადგენენ შრომის (ან საკოლმეურნეო) წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, 6. წარდგინება საფინანსო, საბანკო და სხვა საწარმოო დაწესებულებიდან ტექნიკუმში მოვლინების შესახებ.

დღის განყოფილებაზე შემსვლელი ტექნიკუმში გამოცხადებისას პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგში მყოფი) **ან მიწერის მოწმობას** (წვევამდელები), **აგრეთვე სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანს.**

მოსწავლეთა ჩარიცხვა ტექნიკუმში იწარმოებს დღის განყოფილებაზე 21-24 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე 21-30 აგვისტომდე.

ტექნიკუმის მისამართი თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 3-ა, ტელეფონები 37-57-69, 37-16-09.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ქალაქ რუსთავის № 17 პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტებს შემდეგი პროფესიებით: კონსტრუქციების მემონტაჟე ელექტროშემდუღებლებს; მეაპარატე-ელექტროშემდუღებლებს, ხუროებს; მებათქაშე-მღებავებს მეფილეებს; კონსტრუქციების მემონტაჟე კალატოზებს; კალატოზებს; ზეინკალ სან. ტექნიკოსებს; ზეინკალ მეთუნუქე. მევენტილატორეებს; მებათქაშეებს; ელექტროშემდუღებლებს (10 კლასის განათლებით); ზეინკალ ავტოშემკეთებლებს; ზეინკალ-ავტომაწყობებს; კოშკურა ამწეების მემანქანეებს.

სწავლების ხანგრძლივობა 1-დან 2 წლამდე.

განცხადებები მიიღება ამ აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა; პასპორტი; დაბადების მოწმობა (დედანი); დახასიათება (სოფ. საბჭოდან ან სახლმმართველობიდან); 6 ცალი ფოტოსურათი 3X4; ავტობიოგრაფია; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15-დან 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდები 8-10 კლასის განათლებით.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო ხარჯზე.

მეცადინეობა დაიწყება 1968 წლის 1 სექტემბრიდან.

შენიშვნა: მოსწავლე საშუალო განათლებით, რომელიც სასწავლებელს დაამთავრებს წარჩინებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება კონკურსგარეშე.

სასწავლებლის მისამართი: ქ. რუსთავი, კიროვის ქ. № 1.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის პირველ და მეორე კურსებზე

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, მეორე კურსზე — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

ტექნიკუმი ამზადებს:

ტექნიკოს ტოპოგრაფებს და გეოდეზისტებს სპეციალიზებული და საინჟინრო-საკვლევი ორგანიზაციებისათვის. სწავლის ვადა — 8 კლასის ბაზაზე 3,5 წელი, 10 კლასის ბაზაზე 2,5 წელი.

რაიონებიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

8 კლასდამთავრებულთა განცხადებების მიღება წარმოებს 1 აგვისტომდე, 10 კლასდამთავრებულთა — 15 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

მიღების პირობები საერთოა ყველა ტექნიკუმებისათვის.

ტექნიკუმის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 25, ტელეფონი: 22-30-33, 22-60-16.

ლიკვიდაციის ლაცვა

1968 წლის 27 ივნისს დღის 12 საათზე საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე

გრიგოლ თეოფილეს-ძე ზუმბურიძე დაიცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:

„საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა პარტიული კადრების მომზადებისათვის საბჭოთა პარტსკოლებსა და კომუნისტურ უნივერსიტეტებში (1921-1936 წ.წ.)“.

ბილეთი

15 ივნისი

პირველი პროგრამა

06.35 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. კორესპონდენტის ნამბობი „რწყვა და გარანტირებული მოსავალი“, 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — პოპულარული სოპერეტო მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — პიესები არფისათვის, 11.15 — ირანული სიმღერები, 11.30 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მიმოხილვა, 11.45 — ი. შტრაუსი. ვალსი „ვენის ტყის ზღაბარი“, 12.00 — რადიოფურნალი „ადამიანი და კანონი“, 12.30 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „დაისი“, 13.00 — „გრიგი თავისთვის, მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ“ (მოსკოვი), 14.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“ (მოსკოვი), 14.45 — ა. კორელი. სონატა ვიოლონჩელისათვის, 15.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე“ (მოსკოვი), 15.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 15.40 — მწერალი მიკროფონთან, 16.00 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“ — კომპოზიტორი დ. მიიო, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 18.10 — კ. ლიადოვი. სიმფონიური მინიატიურები, 18.45 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი „როცა ახალგაზრდა გზას ირჩევს“, 19.20 — მუსიკა კინოფილმებიდან, 20.25 — რადიოფურნალი „შოლტი“, 21.00 — რადიოდრამა კ. გამსახურდიას რომანისა „მთვარის მოტაცება“ (ნაწილი მეორე). 23.30 — საღამოს მუსიკა.

ტელევიზია

14 ივნისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 12.00 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ბრალდებული არ გამოცხადდა“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ინონარკვეევ, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდინას ეკრანი“, 2. „თქვენზე ფიქრებში“, 19.20 — გადაცემა „რაკეტის წვრილ“, 19.40 — „ინონარკვეევ, 19.50 — გადაცემა „განახლებული კოლხეთი“, 20.10 — „მოამბე“ სანფორმაციო პროგრამა, 20.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.40 — გადაცემა ციკლიდან „ქართული ეკრანის ოსტატები“ — ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, 21.05 — ლიტერატურული გადაცემა, 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) II ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „საღამომბო“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

თეატრები

14 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (მე-11 ამონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ბებერი მეზურნეები, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთარელაძე, **გრიბოედოვის სახელობის** (რუნინგზელთა სახლში) — ვარშაველი მელოდია (მე-3 ამონ. მე-4 წარმოდგენა), **ვახ. ანაშვილის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანს ქოშები, **ფილარმონიის საზაფხულო** — სიესტრადო ვოკალური ანსამბლი ციცინათელა“.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სსრ განათლების დაცვის სამინისტროს

თბილისის ქბილის საფეხნიკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის მეორე კურსზე წარმოებისაგან მოწყვეტით

სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია. სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ქბილის ტექნიკოსის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა, — შინაარსი) 2. ქიმიაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები სასწავლებელში ჩარიცხული იქნებიან უგამოცდოდ.

სასწავლებელში შემსვლელთ პირადად შეაქვთ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. ატესტატი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3X4 სმ.), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პროფილის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი სამხედრო ბილეთთან ერთად წარმოადგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან დემობილიზაციის შესახებ. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის), მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

საბუთები მიიღება 15 აგვისტომდე 12-დან 2 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 16 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მეცადინეობა სადამოს 5 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: **თბილისი, მეჩნიკოვის ქ. № 4, ტელ. 95-27-07.**

თბილისის 42-ე მათემატიკური საშუალო სკოლის დირექცია

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მე-8 და მე-9 კლასებში მათემატიკური და ქიმიური განხრით.

მოსწავლე ახალგაზრდებო! ვინც დაინტერესებული ხართ შეისწავლოთ მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია გაძლიერებული კურსით, შეგიძლიათ სწავლა განაგრძოთ ჩვენს სკოლაში.

გაძლიერებულსწავლებიან კლასებში სპეციალურ დისციპლინებს ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლის დირექციაში, **მისამართი: ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელ. 99-82-10.**

თბილისის 42-ე მათემატიკური საშუალო სკოლის დირექცია.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი



აცხადებს მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის გემთმძღვანეობისა და გემთმშენებლობის ინჟინერ-მექანიკურ განყოფილებებზე

ორივე განყოფილებაზეა ქართული და რუსული სექტორები.

სწავლების ვადა 4 წელი და 8 თვე.

მიიღებიან მამრობითი სქესის 30 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის მოცულობით და რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობით აკმაყოფილებენ მოთხოვნებს საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობისათვის.

სასწავლებელში ყველა შემსვლელი გაივლის მისაღებ გამოცდებს რვაწლიანი სკოლის მოცულობით რუსულ ენასა — წერითი (კარნახი) და მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია) — ზეპირი.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ აგრეთვე ქართულ ენაში — ზეპირი.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს და გაიცლიან სამედიცინო კომისიას, საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟის მქონენი, შემდეგ — შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილნი, შემდეგ — მუშაობის სულ მცირე ორი წლის საწარმოო სტაჟის მქონენი.

განცხადებებში სასწავლებელში შესვლის სურვილის შესახებ მიიღება 31 ივლისამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს: დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, მოწმობა განათლების შესახებ (მხოლოდ დედანი), სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), წრომის წიგნაკის პირი (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის); ამონაწერი სამხედრო ბილეთიდან (შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის); დახასიათება-რეკომენდაცია ოთხი ფოტოსურათი ზომით 3X4 (უქუდოდ).

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

სასწავლებელში შემსვლელთათვის, რომლებსაც მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი აქვთ, ან დემობილიზებული არიან შეიარაღებული ძალებიდან, 15 ივნისიდან 30 ივლისამდე ეწყობა მოსამზადებელი კურსები. კურსებზე შემოსულთ საერთო საცხოვრებელი არ ეძლევათ.

სასწავლებელში მიღების პირობებზე დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. № 1.

ცეკავშირის ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების საქონელმცოდნეობისა და საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე

ტექნიკუმი ამზადებს საქონელმცოდნეებსა და ბუხჰალტრებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის.

კურსდამთავრებულთ უფლება ენიჭებათ დაიკავონ შემდეგი თანამდებობანი: ა) რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ან მოადგილის, ბ) რაიკოოპკავშირისა და სამომხმარებლო საზოგადოების უფროსი საქონელმცოდნის ან საქონელმცოდნის, გ) სავაჭრო ბაზის დირექტორის ან მისი მოადგილის, დ) სავაჭრო ბაზის საქონელმცოდნის, ე) საწყობის გამგის, ვ) რაიმაღაზიის დირექტორის, ზესამომხმარებლო კოოპერაციის უფროსი ბუხჰალტრის ან ბუხჰალტრისა და სხვ.

ტექნიკუმის დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო (შვიდწლედი ან რვაწლედი) და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ორივე განყოფილების პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედი ან რვაწლედი) კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: 1. ქართული ენაში — კარნახი, 2. მათემატიკაში — ზეპირი.

დასწრებული განყოფილების მეორე კურსზე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე საქონელმცოდნეობის სპეციალობაზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. ქიმიაში (ზეპირი).

დასწრებული განყოფილების მეორე კურსზე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე, საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნის მიღებისას პირველ რიგში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ის პირნი, რომლებიც ტექნიკუმში მივლინებული იქნებიან სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ, სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონენი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) აბიტურიენტები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლი დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრიადოსნები) ან საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლით, ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები და ზემსახურები, რომლებიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან დემობილიზაციის გამო (დემობილიზაციიდან ორი წლის განმავლობაში).

განცხადებები მიიღება ა./წ. 1 ივლისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ჩარიცხვა — 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. 286), 4. სამი ფოტოსურათი (3×4), დამოწმებული, 5. სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მივლინებულნი დამატებით წარმოადგენენ მივლინების ფურცელს (დანართი № 1), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან — შემოწმებული ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

დასწრებულ განყოფილებაზე შემსვლელები, რომლებსაც აქვთ მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, ვალდებული არიან განცხადების შემოტანისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნენი — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებისას უნდა წარმოადგინონ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დედანი.

ტექნიკუმში საბუთების შემოტანისას აბიტურიენტები პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას. დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ბინის ქირით საერთო წესის თანახმად.

სწავლის ხანგრძლივობა დასწრებული განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის სამი წელია, დაუსწრებელი განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის — ოთხი წელი, დასწრებული განყოფილების მეორე კურსსა და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის — ორი წელი.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ქუთაისი, გორის ქ. № 140, ტელეფონი 44-49.